ოქმი:**ო31. 3126058001**
თარიღი:**27/02/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N3

ქ. ლანჩხუთი

25. 02. 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

4. ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის N222 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 3 თებერვლის N258 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 7996500 ლარი, რომელიც მიიმართება გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაფინანსებაზე, ასევე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართება წინა წლების მთავრობის განკარგულებებით, (განკ.N2400 28/12/23 წ. 22691,55 ლარი, N186 30/01/25 წ. 554384,14 ლარი, N1207 30/07/25 წ. მოქალ.ჩართულობა 178273 ლ\არი) გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ნაშთი 755378,69 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად. მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი 380270,85 ლარი მიიმართოს განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე მათ შორის; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 280270,85 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლში 100 000 ლარი. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე მიიმართოს 1419127 ლარი, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით გამოყოფილი 1278961 ლარი და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N302 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ნაშთი 140166,21 ლარი. საქართველოს

მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან 39680,44 ლარი მიიმართოს კაპიტალური დაბანდებები სპრტულ სფეროში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 36500 ლარით (მ.შ. 12000 ლარი ადგ,ბიუჯეტის ხარჯზე) აქედან შტატით მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართოს 10884 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლში 22218 ლარით, სოც:უზრუნველყოფის მუხლში 2398 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლში 1000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 დეკემბრის N2172 განკარგულებით გამოყოფილი 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი ასახულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთში და მიიმართება 2025 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის კომპესაციის გასაცემად.

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის სპეციალისტებთან მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განხილვის შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა ბიუჯეტის პარამეტრების კორექტირება კერძოდ: შემსოავლის ნაწილი გაიზარდა 3308 000 (სამი მილიონ სამასრვა ათასი) ლარით, მათ შორის სხვა შემოსავლები 458000 ლარით, ფინანსური დახმარება განისაზღვრა 2850 000 (ორი მილიონ რვასორმოცდაათი) ლარით, გრანტების სახით გამოიყო 10044767,2 (ათი მილიონ ორმოცდაოთხი ათას შვიდას სამოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარი, (მათ შორის 21306,2 ლარი ჯანდაცვის ღონისძიებისათვის, მოსწავლეთა ტრანსპორტირების 1278961 ლარი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სოფლის პროგრამის მხარდაჭერის 748000 ლარი. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის 7996500 ლარი,) სულ ბიუჯეტის შემოსულობებმა 35527167,2 ლარი შეადგინა. წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი მიიმართება მიმდინარე ხარჯებზე 1318765,19 ლარი, ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციაზე 4579994,19 ლარი.

დაკორექტირდა ბიუჯეტი აღებული ვალდებულებები კერძოდ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება შემცირდეს 11900 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსება შემცირდა 228700 ლარით.

შემცირდა; - გზების კაპიტალური შეკეთის დაფინანსება 68400 ლარით,

- გზების მიმდინარე შეკეთების დაფინანსება 50000 ლარით,

- წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება 100000 ლარით,

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების მუხლი 20000 ლარით,

- გარე განათების მოხმარებული ელ-ენერგიის ხარჯის დაფინანსება 50000 ლარით.

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაციის ექსპლოატაციის დაფინანსება 50000 ლარით.

- სადღესასწაულო ღონისძიებების დაფინანსება 80000 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლი 60000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 20000 ლარით,

- ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება 100000 ლარით,

- დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიებების დაფინანსება 123300 ლარით,

- სპორტული ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება 29400 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლის 26800 ლარი, შრომის ანაზღაურების მუხლი 2600 ლარით.

- საფეხბურთო სკოლის ხეწლშეწყობის დაფინანსება 25500 ლარით.

- კულტურის დაწსებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება 87000 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლი 69900 ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლი 17100 ლარით.

- შ.შ.მ პირთა დახმარების პროგრამა 11000 ლარით,

- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 15000 ლარით,

- სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირების შრომის ანაზღაურების მუხლის 468640 ლარით შემცირების ხარჯზე 188700 ლარით შემცირდეს წლიური დაფინანსება, ხოლო 279940 ლარით გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება.

გაიზარდოს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 80 000 ლარით და განისაზღვროს 150000 ლარით, 50 000 ლარით გაიზარდოს საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება.

- სკოლამდელი დაწსებულების ფუნქციონირების საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსების 20 000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის დაფინანსება 20 000 ლარით.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოც:უზრუნველყოფის მუხლი 3000 ლარით.

მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის სოც;უზრუნველყოფის მუხლის 8800 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 8800 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ დამატებით შემოსულობები გაიზარდა 52000 ლარით არაფინანსური აქტივების(გაყიდვის ხარჯზე), ასევე გაზრდილია ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ:

-გზების რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება 135000 ლარით;

-კაპიტალური დაბანდება სპორტულ სფეროში არაფინანსური აქტივების მუხლი 15000 ლარით;

-ტურიზმის ხელშეწყობის დაფინანსება 64500 ლარით;

-საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების ღონისძიების დაფინანსება 102200 ლარით;

-სოფლის პროგრამების მხარდაჭერის დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 157000 ლარით;

აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით 52000 ლარის არაფინანსური აქტივების ზრდასთან ერთად, ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან მიიმართება 421700 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული საბიუჯეტო ღონისძიებები განხილული და შესაბამისად ასახული უნდა იქნეს 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მას საკითხი მიეწოდა ელექტრონული სახით, მაგრამ ვერ გაეცნო დეტალურად, რადგან არ არის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი. მისი თქმით, არ არის მიზანშეწონილი ჯარიმების თანხის მომატება მაშინ, როცა არ იზრდება ხელფასი და პენსია. ასევე მხარს დაუჭერდა სპორტული ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსებას ცალკე საკითხად და არა ზემოაღნიშნული მოცემულობით.

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა რომელი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოიყო 7996500 ლარი და რაზე იქნება მიმართული ეს თანხა, ის ასევე დაინტერესდა რატომ შემცირდა სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირების შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსება და გაიზარდა საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ 7996500 ლარი გამოიყო 2025 წლის დიდთოვლობის შედეგად გამოწვეული სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის და მიიმართება აღნიშნული სტიქიის დროს დაზიანებული გზების, ხიდების და ნაპირსამაგრი ჯებირების გასაკეთებლად, ხოლო სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირების შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსება შემცირდა იგივე დაწესებულებაში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა

შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და გოჩა ჯანაშია).
მიღებულ იქნა დადგენილება N5(25.02.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიულ ფასს.

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN =IMGX ITL X CX K, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;

3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.

4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: CN =0,38 X1 X 0,24 X 100=9,12.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის

რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N6(25.02.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ მიზანშეწონილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით, შეფასებული (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მუნიციპალური ქონება, შემგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი და მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხებსა და გეგმებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიბათი 27.09.46.282 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
2. ქ. ლანჩხუთი 27.06.52.670 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლესა 27.10.46.434 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
4. ქ. ლანჩხუთი 27.06.48.890 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
5. ქ. ლანჩხუთი 27.06.48.893 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
6. ქ. ლანჩხუთი 27.06.48.895 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში 27.03.42.004 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი სუფსა 27.15.50.018 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ეწერი 27.11.47.238 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეტზე არსებული N 2 შენობა-ნაგებობა;
10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი გვიმბალაური 27.08.46.290 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
11. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომისუბანი მე-3 ქუჩა N 6 27.13.45.271 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
12. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ხიდმაღალა 1-ლი ქუჩა მე-5 ჩიხი N 4

27.15.52.011 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;

13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი გვიმბალაური 27.08.46.269 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმა:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიბათი 27.09.46.282 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
2. ქ. ლანჩხუთი 27.06.52.670 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლესა 27.10.46.434 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
4. ქ. ლანჩხუთი 27.06.48.890 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
5. ქ. ლანჩხუთი 27.06.48.893 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
6. ქ. ლანჩხუთი 27.06.48.895 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათი 27.03.42.004 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი სუფსა 27.15.50.018 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ეწერი 27.11.47.238 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეტზე არსებული N 2 შენობა-ნაგებობა;
10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი გვიმბალაური 27.08.46.290 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
11. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომისუბანი მე-3 ქუჩა N 6 27.13.45.271 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
12. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ხიდმაღალა 1-ლი ქუჩა მე-5 ჩიხი N 4 27.15.52.011 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება;
13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი გვიმბალაური 27.08.46.269 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა:

ქ. ლანჩხუთი მეორადი ნაგვის ურნა-5000ც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N6(25.02.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის

ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის N10 დადგენილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N7(25.02.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1.რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება“.

2.მე- 10 მუხლის მე-13 და 14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“.

14.საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები საკრებულოს სხდომაზე განიხილება რიგგარეშედ“.

3.რეგლამენტის 47 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს პირველი სხდომა მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა;

გ) ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა;

ზ) საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;

თ) ამ რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევა“.

4. რეგლამენტის 47 მუხლს დაემატოს მე-5 და მე-6 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„5. ფრაქციების შექმნისთანავე, ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს სამანდატო დროებითი კომისია და ამტკიცებს საკრებულო.

6. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომაზე შესაძლოა მოხდეს მხოლოდ საკრებულოს ფრაქციების დაფუძნება და რეგისტრაცია. თუ საკრებულოს თავმჯდომარის ხელახალმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, საკრებულოს სხდომა გადაიდება, არაუმეტეს ერთი კვირით.“

5. რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამანდატო დროებითი კომისია განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, საკრებულოს ამცნობს საკრებულოს ფრაქციების შექმნის შესახებ.“

6. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 51-ე მუხლი.

7. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 52-ე მუხლი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N8(25.02.2026).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპლიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოადგინა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. ზემოაღნიშნულ პროექტში, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვლილია ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან 58640 ლარიდან, გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (10 %) შესაბამისად, რომლის თანახმად ის არის 5864 ლარი, ნაცვლად გაწერილი ციფრისა - 58640

ლარის.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N9(25.02.2026).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

- ნინოშვილისა და გულიანის ადმინისტრაციულ ერთეულებისაგან განსხვავებით, ნიგვზიანის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში არ არის ავარიული სიტუაცია, გაკეთებულია გაზის მრიცხველები და საჭიროა მხოლოდ საკეტების გაკეთება, რათა დასრულდეს გაზიფიცირება, მაგრამ სამუშაოები გაჩერებულია და მიზეზი უცნობია;

-როდის მოგვარდება სუფსაში და ღრმაღელეში ავტობანის მშენებლობის შედეგად დაზიანებული საყანე ფართობებთან მისასვლელი გზები;

-როდის გაკეთდება გრიგოლეთში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები და კარგი იქნება თუ ამ მარშრუტზე დაემატება ავტობუსები.

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა:
- როდის დასრულდება გულიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების აღდგენა, რათა ამ სოფლებში შემდგომ დროულად მოხდეს გაზიფიცირების საკითხის მოგვარება.
-რატომ არის შეჩერებული ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორი მოსაცდელის მშენებლობა;
- რატომ არ იგება ასფალტის საფარი და არ წესრიგდება საავტომობილო გზის მონაკვეთი, რომელიც სუფსის ცენტრს აკავშირებს ავტობანთანთან.
საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:
-სუფსის ცენტრის ავტობანთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, სადაც ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და საყანე ფართობებთან მისასვლელი გზაც, მას მუნიციპალიტეტის მერთან, ალექსანდრე სარიშვილთან ერთად ჰქონდა კომუნიკაცია ამ სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლებთან და გადწყდა, რომ შეხვდებიან მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სადაც დაისახება ამ პრობლემის მოგვარების გზები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით;
-გრიგოლეთში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის გაკეთებასთან დაკავშირებით მას არაერთხელ ქონდა კომუნიკაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და სწავლობენ სიტუაციას. უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მოსაცდელის გაკეთება მოსახლეობისთვის სასურველ ადგილზე, მაგრამ არის რამდენიმე ალტერნატიული შეთავაზება, რომელსაც მათთან ერთად გაივლიან და ეს საკითხიც აუცილებლად მოგვარდება.
-
საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ სოფლების გაზიფიცირებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს მუდმივ რეჟიმში აქვს კომუნიკაცია სოკარ გაზის წარმომადგენლებთან. ვინაიდან ნინოშვილისა და გულიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში არის ავარიული სიტუაცია და ეს პროცესი დროში გაიწელება, ამიტომ ნიგვზიანის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში სავარაუდოდ მარტის თვეში დაიწყება მოქალაქეების განცხადებების მიღება გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 თებერვალი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55	
2	ვერიკო კვირკველია	11.59	
3	მაია ლომთაძე	11:51	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
7	ზაზა წულაძე	10 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 50	
9	გიორგი იმნაიშვილი	10 45	
10	ია მოქია	11:40	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11:55	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 50	
14	კარლო წილოსანი	11 58	
15	ნინო მშვიდობაძე	11:59	
16	ივანე ებრალიძე	11 50	
17	ირაკლი ცინცაძე	11 50	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-53	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:49	
20	გოგი მორჩილაძე	ქვორუმში	
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 49	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.56	

24	ტატო ურუშაძე	11:52	
25	გელა პატეიშვილი		
26	თენგიზ ურუშაძე	11 55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11 55	
29	სამსონ კვაჭაძე	11 45	
30	გოჩა ჯანაშია	11 50	
31	თორნიკე მითაიშვილი	11 45	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	